LIBERTY BANK

ხელშეკრულება სახელფასო პროგრამით მომსახურების შესახებ GURDJ00007

27 იანვარი 2011 წლის

გურჯაანი , საქართველო,

ბანკი:

საფირმო სახელწოდება:	სს "ლიბერთი ბანკის" გურჯაანის ფილიალი
იურიდიული მისამართი:	**გურჯაანი** ნორეშვილის 10
საიდენტიფიკაციო კოდი:	**203828304**
წარმომადგენელი:	ფილიალის მმართველი
სახელი და გვარი	**არჩილ ხანდამაშვილი**

კლიენტი:

საფირმო სახელწოდება:	ს.კაჭრეთის #1 საჯარო სკოლა
იურიდიული მისამართი:	**გურჯაანის** რ-ნი ს. კაჭრეთი
რეგისტრაციის თარიღი:	05.09.2003წ
საიდენტიფიკაციო კოდი:	227730621
წარმომადგენელი:	**დირექტორი**
სახელი და გვარი:	**მზია ანჯაფარიძე**

ბანკი და **კლიენტი** ცალ-ცალკე მოხსენიებული როგორც "**მხარე**", ხოლო ერთობლივად როგორც "**მხარეები**", **საქართველოში** მოქმედი კანონმდებლობისა და **ბანკის** წესდების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე **ხელშეკრულებას** (შემდგომში "**ხელშეკრულება**") შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. **ხელშეკრულების** პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად, **კლიენტი** თანხმობას აცხადებს **ბანკის** კორპორატიულ **სახელფასო პროგრამაში** ("**სახელფასო პროგრამა**") მონაწილეობის მიღებაზე;

1.2. **სახელფასო პროგრამა** გულისხმობს **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულების** გაფორმების შემდეგ საკუთარი თანამშრომლებისთვის, რომლებიც წარმოდგენილნი არიან წინამდებარე ხელშეკრულების **დანართ №1**-ში მოცემულ განაცხადი-რეესტრში (შემდგომში "**თანამშრომლები**"), შრომის ანაზღაურების გადახდას **ბანკის** მომსახურების გამოყენებით თანხის გადარიცხვის გზით **ბანკის** მიერ მათთვის დამზადებულ საბანკო ბარათების (შემდგომში "**ბარათები**") ანგარიშებზე (შემდგომში "საბარათე ანგარიშ(ებ)ი");

2. კლიენტის განცხადებები და გარანტიები

2.1 **კლიენტი** აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

2.1.1 **ხელშეკრულების** დადების თარიღისთვის მის მიერ **ბანკში** წარდგენილი ყველა ინფორმაცია, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს **ხელშეკრულებაში** **დანართ №1**-ში მითითებულ მონაცემებს, არის უტყუარი და ზუსტი;

2.1.2 **ხელშეკრულება** დადებულია მის მიერ ნებაყოფლობით, **ბანკის** ან სხვა მესამე მხარეთა მხრიდან ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების ან ზემოქმედების გამოყენების გარეშე;

2.1.3 პირნათლად შესასრულებს **ხელშეკრულებით** ნაკისრ ყველა ვალდებულებას.

3. სახელფასე პროგრამაში ჩართვა

3.1 **ბანკის** მიერ **კლიენტის** **თანამშრომლებისათვის** **ბარათების** დამზადება ხდება **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიწოდებული განაცხადი-რეესტრის საფუძველზე. **კლიენტი** ვალდებულია მომზადოს განაცხადი-რეესტრი **ხელშეკრულების** **დანართ №1**-ში მოცემული ფორმითა და ინფორმაციული შემცველობით;

3.2 **კლიენტის** მიერ განაცხადი-რეესტრის **ბანკისთვის** მიწოდება ხდება როგორც ელექტრონული ფორმით ასევე დედანი სახით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს **კლიენტის** უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით და ბეჭდით - ამასთან განაცხადი-რეესტრის ელექტრონული და დედანი ვერსიები უნდა იყოს სრულიად იდენტური. **ბანკისთვის** განაცხადი-რეესტრის ელექტრონული ვერსიის მიწოდება ხდება ელექტრონული ფოსტით მისამართზე payroll@libertybank.ge

3.3 **თანამშრომლებისთვის** **ბარათების** დამზადების მიზნით **კლიენტი** დამატებით ვალდებულია **ბანკს** მიაწოდოს თავისი ყველა თანამშრომლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

3.4 **ბანკს** უფლება აქვს მოითხოვოს **კლიენტისგან** განაცხადი-რეესტრში აღნიშნული ნებისმიერი **თანამშრომლის** მონაცემის დადასტურება ან/და დამატებითი დოკუმენტების წარდგენა. ასეთ შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია, უმოკლეს ვადაში მიანოდოს **ბანკს** მოთხოვნილი ინფორმაცია და მაქსიმალურად ხელი შეუწყოს **ბანკს** **თანამშრომლის** სწორ და სრულ იდენტიფიცირებაში;

3.5 **ბანკი** ვალდებულებას იღებს **კლიენტის** მიერ განაცხადი-რეესტრის სრულყოფილი ფორმით მიღების თარიღიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის ვადაში **კლიენტის** **თანამშრომლებს** დაუმზადოს **ბარათები;**

3.6 **ბანკი** უფლებამოსილია არ განახორციელოს არანაირი მომსახურება, თუ **ბანკში** წარმოდგენილი განაცხადი-რეესტრის მონაცემები არ შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფორმებს.

4. თანამშრომლებისთვის შრომის ანაზღაურების გადახდა

4.1 **ბანკის** მიერ **თანამშრომლებისთვის** **ბარათების** დამზადების შემდეგ **კლიენტი** იღებს ვალდებულებას **თანამშრომლების** კუთვნილი შრომის ანაზღაურება ყოველთვიურად (ან სხვა პერიოდულობით, დამოკიდებული **კლიენტის** საქმიანობის სპეციფიკაზე) ჩარიცხოს **ბანკში** გაცნობილ ანგარიშებზე;

4.2 **კლიენტს** შეუძლია **თანამშრომლებისათვის** შრომის ანაზღაურების **ბანკში** გახსნილ **საბარათე ანგარიშებზე** ჩარიცხვა დამოუკიდებლად, **ბანკის** სერვის ცენტრში ინდივიდუალური საგადახდო დავალებების წარდგენით ან/და **ბანკის** დისტანციური მომსახურების სისტემების - ინტერნეტ **ბანკის** ან/და **ბანკი-კლიენტის** გამოყენებით;

4.3 **თანამშრომლებისათვის** შრომის ანაზღაურების **ბანკში** გახსნილ **საბარათე ანგარიშებზე** ჩარიცხვის განხორციელების მიზნით **კლიენტს** ასევე შეუძლია ისარგებლოს **ბანკის** პაკეტური გადარიცხვების ხელშეწყობის მომსახურებით ("**პაკეტური გადარიცხვების სერვისი**"), რომელიც გულისხმობს **ბანკის** მიერ კლიენტის ანგარიშიდან **კლიენტის** **თანამშრომლების** **საბარათე ანგარიშებზე** ანაზღაურების გადარიცხვას **კლიენტის** მიერ წარდგენილი საგადახდო დავალების და სახელფასე რეესტრის საფუძველზე;

4.4 **პაკეტური** **გადარიცხვების** **სერვისის** შესრულების დროს **კლიენტის** **თანამშრომლების** **საბარათე** **ანგარიშებზე** **ანაზღაურების** ჩარიცხვისთვის **კლიენტი** **ბანკს** წარუდგენს საგადახდო დავალებას **თანამშრომლთა** ანაზღაურების ჯამური თანხით და თანდართულ სახელფასე რეესტრს;

4.5 სახელფასე რეესტრის ფორმა და ინფორმაციული შემცველობა მოცემულია **ხელშეკრულების** **დანართ №2**-ში. **კლიენტი** ვალდებულია ზუსტად შეავსოს საგადახდო დავალება და სახელფასე რეესტრი და მიაწოდოს **ბანკს** მისი როგორც ელექტრონული ვერსია, ასევე დედანი დამოწმებული **კლიენტის** უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით და ბეჭდით. ამასთან, საგადახდო დავალების და სახელფასე რეესტრის ელექტრონული და დედანი ვერსიები უნდა იყოს სრულიად იდენტური. **ბანკისთვის** საგადახდო დავალების და სახელფასე რეესტრის ელექტრონული ვერსიის მიწოდება ხდება ელექტრონული ფოსტით მისამართზე payroll@libertybank.ge

4.6 **ბანკი** ვალდებულებას იღებს **კლიენტის** მიერ წარმოდგენილი საგადახდო დავალების და სახელფასე რეესტრის სრულყოფილი ფორმით **ბანკის** მიერ მიღების თარიღიდან ანგარიშგებას 2 (ორი)

ბანკთაშორისი ანგარიშსწორების სამმართველო
GURJAANI BRANCH

საბანკო დღის ვადაში კლიენტის ანგარიშზე შესაბამისი ოდენობის თანხის არსებობის შემთხვევაში მოახდინოს **კლიენტის თანამშრომლების საბარათე** ანგარიშებზე კუთვნილი ანაზღაურების გადარიცხვა;

4.7 **კლიენტი** ვალდებულია ყოველთვიურად შეამოწმოს და განაახლოს სახელფასე რეესტრი მასში კლიენტთან შრომითი ურთიერთობის არმქონე პირების მოხვედრის თავიდან აცილების და ახალი **თანამშრომლების** დამატების მიზნით;

4.8 **ბანკი** არ აგებს პასუხს **პაკეტური გადარიცხვების** სერვისის შესრულების დროს დაშვებულ შეცდომებზე, თუ ეს შეცდომები განპირობებული **კლიენტის** მიერ სახელფასე რეესტრში დამატებული მეცდომით ან/და არასწორი მონაცემების მითითებით.

5. **კლიენტის უფლება-მოვალეობები**

5.1 **კლიენტი** ვალდებულია:

5.1.1 დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს** თავისი თანამშრომელ(ებ)ის მისამართის, ტელეფონის ან/და სხვა საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შესახებ;

5.1.2 **ბანკის** წერილობითი თანხმობის გარეშე არ დართოს ნება **სახელფასო პროგრამაში** მონაწილე **თანამშრომლებს** სხვა ბანკის სახელფასე ბარათის დამზადებაზე და შესაბამისად არ განახორციელოს **თანამშრომლის** კუთვნილი ხელფასის სხვა ბანკის საბარათე ან მიმდინარე ანგარიშზე ჩარიცხვა (ან ნაღდი ფულის სახით გაცემა);

5.1.3 შეატყობინოს **ბანკს თანამშრომლის** სამსახურიდან გათავისუფლების, წასვლის ან სხვა მიზეზით სამსახურის დატოვების შესახებ დაუყოვნებლივ, როგორც კი ასეთი ფაქტის შესახებ ინფორმაცია გახდება ხელმისაწვდომი თავით **კლიენტისთვის. ბანკისთვის** ამგვარი ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს ან წერილობითი ფორმით, **ბანკის** ნებისმიერ სერვის ცენტრში შესაბამისი განცხადების ჩაბარებით, ან ელექტრონულად - ელექტრონულ საფოსტო მისამართზე payroll@libertybank.ge ამგვარი შეტყობინება უნდა მოიცავდეს **თანამშრომლის** გვარს, სახელს, დაბადების თარიღს და საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თარიღს;

5.1.4 **თანამშრომელთან ხელშეკრულების** 5.2 პუნქტის შესაბამისად შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დროს თანამშრომელთან საბოლოო ანგარიშწორების განხორციელებამდე მინიმუმ 5 საბანკო დღით ადრე აცნობოს ამის შესახებ **ბანკის** მომსახურე ფილიალის / სერვის ცენტრის ხელმძღვანელს. გათავისუფლებული **თანამშრომლისთვის** საბოლოო ანგარიშწორების თანხის გადასდა უნდა მოხდეს უნაღდო ანგარიშსწორებით **თანამშრომლის** საბარათე **ანგარიშზე** საბოლოო ანგარიშსწორების თანხის ჩარიცხვის გზით;

5.1.5 თავისი შესაძლებლობის ფარგლებში და მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით უზრუნველყოს საკუთარი თანამშრომლების მხრიდან ბარათით სარგებლობის წესების დაცვა;

5.1.6 შესარულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები.

5.2 **კლიენტს უფლება აქვს:**

5.2.1 მოთხოვოს **ბანკს** საკუთარი თანამშრომლებისთვის სემინარების და პრეზენტაციების ჩატარება სხვადასხვა საბანკო პროდუქტების ან/და მომსახურების და საბანკო ბარათებით სარგებლობის წესების შესახებ და აღნიშნულის განსახორციელებლად უზრუნველყოს ბანკი ყველა სათანადო პირობით. ამასთან, მსგავსი მოთხოვნის საფუძველზე სემინარების და პრეზენტაციების ჩატარება წარმოადგენს **ბანკის** უფლებას და არა მის უპირობო ვალდებულებას;

5.2.2 მოთხოვოს ბანკს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

6. **სახელფასე პროგრამის პირობები**

6.1. **კლიენტის** ჩართვა **ბანკის სახელფასე პროგრამაში** არის უფასო - ამავე დროს **ბანკი** უფასოდ მოემსახურება **კლიენტს პაკეტური გადარიცხვების სერვისის** მიხედვით;

6.2. **კლიენტის** მიერ **თანამშრომლებისთვის** ბანკში გახსნილ საბარათე ანგარიშებზე ნებისმიერი თანხის გადარიცხვა ხდება უფასოდ;

6.3. **ბანკის** მიერ **კლიენტის** თანამშრომლების მომსახურების ძირითადი პირობები რეგულირდება **ხელშეკრულების დანართ №3**-ით;

6.4. **ბანკი** გარანტიას იძლევა, რომ **კლიენტის თანამშრომლებთან** გაფორმებული ნებისმიერი ინდივიდუალური ხელშეკრულება იქნება სრულ შესაბამისობაში **ხელშეკრულების დანართ №3**-ში მოცემულ პირობებთან;

6.5. იმ შემთხვევაში თუ **დანართი №3** განსაზღვრავს **ბანკის** მომსახურების განსხვავებულ პირობებს **კლიენტის** სხვადასხვა რანგის **თანამშრომლთათვის, კლიენტი** ვალდებულია წინასწარ აცნობოს **ბანკს** ზედა და საშუალო რანგში შემავალი **თანამშრომლების** ვინაობის შესახებ (ფორმატი: გვარი, სახელი, პირადი ნომერი, რანგი). ამასთან **კლიენტი** პასუხისმგებელია დროულად აცნობოს **ბანკს** საკუთარ საშტატო განრიგში მომხდარი ცვლილებების შესახებ, **თანამშრომლების** სწორი რანგირების უზრუნველყოფის მიზნით;

6.6. **ბანკს** უფლება აქვს **თანამშრომლებისთვის ხელშეკრულების დანართ №3**-ით დაურეგულირებელი და ასევე თანამშრომლისა და ბანკის ურთიერთობის ნებისმიერი სხვა პირობა, **ბარათით** სარგებლობის წესების ჩათვლით, დაადგინოს და შეუთანხმოს **თანამშრომლებს** ინდივიდუალურად, ბანკში დადგენილი წესით;

6.7. თუ ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვლება საერთო ეკონომიკური ვითარება, ან გამოიცემა ნორმატიული აქტი საფინანსო, საკრედიტო ან სავალუტო პოლიტიკის შეცვლასთან დაკავშირებით, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს **ხელშეკრულების დანართ №3**-ში აღნიშნული ნებისმიერი პირობა. ასევთ შემთხვევაში **კლიენტი** იქნება წერილობით ინფორმირებული დაუყოვნებლივ, ხოლო ახალი პირობები შევა ძალაში **ბანკის** მიერ ცვლილების მიღების მომდევნო თვის 1 რიცხვიდან;

6.8. **ბანკს** უფლება აქვს შეცვალოს **ხელშეკრულების დანართ №3**-ში აღნიშნული ნებისმიერი პირობა **თანამშრომლის** სასარგებლოდ **კლიენტის** შეტყობინების გარეშე.

7. **ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მოქმედება და ვადამდე შეწყვეტა**

7.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 24 თვის განმავლობაში ("**პირითადი ვადა**");

7.2. თუ **კლიენტის** მხრიდან არ მოხდა **ბანკის** წერილობითი სახით ინფორმირება **ხელშეკრულების** შეწყვეტის შესახებ, **ხელშეკრულების** მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება 24 თვით ("**დამატებითი ვადა**");

7.3. **კლიენტს** შეუძლია **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტა წერილობითი განცხადების ბანკში 3 თვით ადრე წარდგენის საფუძველზე;

7.4. **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული წესით განაგრძოს შრომის ანაზღაურების ბანკში გახსნილ საბარათე ანგარიშზე ჩარიცხვა იმ თანამშრომლ(ებ)ისთვის, ვისაც ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის **ბანკის** წინაშე ერიცხება(თ) არაუზრუნველყოფილი საკრედიტო დავალიანება, აღნიშნული დავალიანების სრულ დაფარვამდე.

8. **კონფიდენციალურობა**

8.1. **მხარეები** ვალდებულნი არიან **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში მკაცრად დაიცვან ერთმანეთისაგან მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალურობა;

8.2. კონფიდენციალურობის მოთხოვნები არ ვრცელდება:

8.2.1. იმ ინფორმაციაზე, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი **ბანკისაგან** და **კლიენტისაგან** დამოუკიდებლად,

8.2.2. ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან, და

8.2.3. ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე **მხარის** მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

9. **პასუხისმგებლობა.**

9.1. **მხარეები** ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეულ წინაშე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბანკომატი BANKOMAT
LIBERTY BANK
ბანკომატის ნომერი
BANKOMAT NUMBER
ბანკომატის ადგილმდებარეობა
BANKOMAT LOCATION
ბანკომატის ფილიალი
BANKOMAT BRANCH

9.2. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულების ძირითადი** ვადის განმავლობაში, 7.3 პუნქტის შესაბამისად მისი (**ხელშეკრულების**) ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, **კლიენტს** დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა - 5.00 ლარის ოდენობით **ბანკის** მიერ **კლიენტის** თანამშრომლებისთვის დამზადებულ ყოველ ბარათზე;

9.3. **ხელშეკრულების** 5.1.4 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია დააკისროს **კლიენტს** პირგასამტეხლო **კლიენტის** შესაბამისი თანამშრომლის სამმაგი ხელფასის ოდენობით;

9.4. **ბანკს** უფლება აქვს წინამდებარე **ხელშეკრულების** შესაბამისად წარმოშობილი **კლიენტის** ნებისმიერი ვალდებულებების დასაფარავად, ცალმხრივად, უაქცეპტო წესით მოახდინოს **კლიენტის** ანგარიშებიდან შესაბამისი თანხების ჩამოწერა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს ჩამოწერილი თანხების შესაბამის ვალუტაში კონვერტაცია ბანკში არსებული კურსით და მათი მიმართვა **კლიენტის** ვალდებულების დასაფარავად.

10. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

10.1. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

10.2. **ხელშეკრულებით** დაურეგულირებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

10.3. **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული ყველა სადავო საკითხი წყდება **მხარეთა** შორის ურთიერთშეთანხმების გზით. **მხარეებს** შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს საერთო სასამართლოს მიერ ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით.;

10.4. **მხარეები** თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება როგორც **ბანკის**, ასევე **კლიენტის** მიერ მოქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

11. დამატებითი დებულებები

11.1. **მხარეები** ადასტურებენ, რომ **ხელშეკრულების** ხელმომწერი პირები აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებამოსილებით, რათა გაფორმონ და ხელი მოაწერონ **ხელშეკრულებას**;

11.2. **ხელშეკრულების** ხელმოწერისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვლება **ხელშეკრულების** საგანთან დაკავშირებული ყველა არსებული დოკუმენტი და წინასწარი მოლაპარაკება;

11.3. რომელიმე **მხარის** მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში დამრღვევი **მხარე** ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე **მხარეს** აღნიშნული დარღვევით/შეუსრულებლობით გამოწვეული ნებისმიერი სახის ზიანი;

11.4. არც ერთი **მხარე** არ არის პასუხისმგებელი მეორე **მხარის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ შედეგებზე;

11.5. რომელიმე **მხარის** მხრიდან **ხელშეკრულების** მთლიანად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე **მხარის** მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება **ხელშეკრულების** ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე. უფლებების ამგვარი გამოუყენებლობა ასევე არ იქონიებს გავლენას მეორე (არადამრღვევი) **მხარის** უფლებაზე **ხელშეკრულების** შემდგომ დარღვევასთან დაკავშირებით;

11.6. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება **ბანკს** **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულების** დარღვევის შედეგად კრებითია და დაემატება ამ ხელშეკრულებით ან კანონით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას;

11.7. **ხელშეკრულება** მისი ვალდებულებებითა და სარგებლით ვრცელდება **მხარეთა** შესაბამის მემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე. **ბანკთან** წერილობითი შეთანხმების გარეშე **კლიენტს** უფლება არა აქვს სხვას გადასცეს ან გადააბაროს მასზე ხელშეკრულებით დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება;

11.8. **ხელშეკრულების** ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაკეთდეს წერილობით და ხელი მოეწეროს **მხარეთა** უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

11.9. **მხარეთა** ძეთანხმებით **ხელშეკრულების** შესრულების ადგილად მიჩნეულია **ბანკის** იურიდიული მისამართი;

11.10. **ხელშეკრულების** რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მთლიანად **ხელშეკრულების** ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ ხელშეკრულებით (და მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი;

11.11. **ხელშეკრულების** დანართები წარმოადგენს მის შემადგენელ განუყოფელ ნაწილს;

11.12. **მხარეთა** შორის **ხელშეკრულების** საგანთან დაკავშირებული ნებისმიერი კომუნიკაცია უნდა ჩაბარდეს კომუნიკაციის მიმღებ **მხარეს** პირადად ან გაიგზავნოს დაზღვეული ან რეგისტრირებული საფოსტო გზავნილით **ხელშეკრულებაში** მითითებულ **მხარეების** მისამართებზე;

11.13. **ხელშეკ[illegible]ლება** და მისი სამი დანართი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და თითოეული გადაეცათ **მხარეებს:**

12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

კლიენტი:

ხელმოწერა

ბ.ა.

ბანკი:

ხელმოწერა

ბ.ა.